პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 137 (4647)

1972 წ. 15 ივლისი, შაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე კიევიდან გვატყობინებს

# კალათბურთელთა ორ-ორი მოგება

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ჩაებნენ ფრენბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები, მოჭადრაკეები და ტანმოვარჯიშენი.

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში მესამე მატჩი გამართა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ტაჯიკეთის კარგად მომზადებული გუნდი. პირველი ტაიმი ჩვენებისთვის დრამატულად წარიმართა. ისევე როგორც ლენინგრადელებთან მატჩში, ტერიტორიული უპირატესობა საქართველოს ნაკრების მხარეს იყო, მაგრამ ჩვენმა თავდამსხმელებმა ვერ იქნა და ვერ აიღეს კარი, ტაჯიკეთის წარმომადგენლებმა კი თავიანთი ეპიზოდური შეტევებიდან ერთ-ერთი გოლით დააგვირგვინეს. ეს მოხდა 22-ე წუთზე.

შესვენების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა ტემპს უმატეს. იერიშებში მცველებიც მონაწილეობდნენ. 46-ე წუთზე მცველმა მ. ნიკოლაიშვილმა გორელი რ. მამისტარაშვილის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი კარში შეაგდო — 1:1.

საქართველოს გუნდის დაწინაურებას კიდევ 11 წუთი დასჭირდა. გამარჯვების მაუწყებელი გოლი შორიდან გაიტანა გორელმა ვ. ხანიშვილმა.

წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ საქართველოსა და სომხეთის ფეხბურთელთა მატჩის შედეგი ჩვენებმა გააპროტესტეს. მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ პროტესტი განიხილა. თამაშის შედეგი უცვლელი დატოვეს, მაგრამ კიევლი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. შევცოვი (და არა სილიცკი, როგორც ამას ვწერდით) დაშვებული შეცდომების გამო გათამაშებიდან მოიხსნა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: I ქვეჯგუფი. ლიტვა — მოსკოვი 0:0, ლატვია — ესტონეთი 2:1; II ქვეჯგუფი. ბელორუსია — უკრაინა 0:2, ყირგიზეთი — რსფსრ 0:3, უზბეკეთი — ყაზახეთი 0:0; III ქვეჯგუფი. მოლდავეთი — ლენინგრადი 0:2, თურქმენეთი — სომხეთი 2:0.

3 ტურის შემდეგ I ქვეჯგუფში ლიდერობს ლიტვის ნაკრები (4 ქულა). მეორეში — უკრაინის კოლექტივი (6 ქულა). მესამე ქვეჯგუფში სამი ლიდერია — საქართველოს, სომხეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები — 4-4 ქულა. ლენინგრადელებს 3 ქულა აქვთ, მოლდავეთის ფეხბურთელებს — 2, ტაჯიკეთისას — 1.

კარგად დაიწყეს ტურნირი ჩვენმა ფრენბურთელმა ჭაბუკებმა: მათ ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვეს. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა საქართველოსა და უკრაინის კოლექტივების შეხვედრა. ამ მატჩში ჩვენებმა მეტად მძიმე მდგომარეობაში (უკვე ორი პარტია წაგებული ჰქონდათ — 10:15, 9:15) ჩარხის წაღმა დატრიალება შეძლეს, მომდევნო სამი პარტია მოიგეს (15:10, 15:13, 15:2) და ძლიერი მეტოქე დაამარცხეს. მეორე ტურში ჩვენმა ჭაბუკებმა „მშრალი" ანგარიშით — 3:0 (15:6, 15:9, 15:6) — მოუგეს ყაზახეთის ნაკრებს და თავიანთ ქვეჯგუფში ლიდერები არიან.

საქართველოს გოგონებმა პირველ ტურში წააგეს შეხვედრა უზბეკეთის წარმომადგენლებთან — 1:3 (15:12, 12:15, 8:15, 12:15), მეორე ტურში კი თურქმენეთის ნაკრებს მოუგეს — 3:0 (15:8, 15:13, 15:5).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჭაბუკები. I ქვეჯგუფი. ესტონეთი — ყირგიზეთი 3:0, ლენინგრადი — ლატვია 3:0, ესტონეთი — უზბეკეთი 3:0, ყირგიზეთი — ლატვია 2:3; II ქვეჯგუფი. მოსკოვი — ლიტვა 1:3, სომხეთი — ტაჯიკეთი 3:1, აზერბაიჯანი — მოლდავეთი 3:0, მოსკოვი — სომხეთი 3:2, ლიტვა — მოლდავეთი 3:2, ტაჯიკეთი — აზერბაიჯანი 2:3; III ქვეჯგუფი. რსფსრ — თურქმენეთი 3:0, ბელორუსია — ყაზახეთი 1:3, თურქმენეთი — უკრაინა 0:3, რსფსრ — ბელორუსია 3:1. გოგონები. I ქვეჯგუფი. ყაზახეთი — უკრაინა 1:3, რსფსრ — ყირგიზეთი 3:0, უკრაინა — ლატვია 3:1, რსფსრ — ყაზახეთი 3:1; II ქვეჯგუფი. მოსკოვი — მოლდავეთი 3:0, ლენინგრადი — თურქმენეთი 3:0, მოსკოვი — ლენინგრადი 0:3, მოლდავეთი — უზბეკეთი 0:3; III ქვეჯგუფი. ბელორუსია — ტაჯიკეთი 3:0, სომხეთი — ლიტვა 3:2, აზერბაიჯანი — ესტონეთი 1:3, ტაჯიკეთი — ესტონეთი 2:3, ბელორუსია — სომხეთი 1:3, ლიტვა — აზერბაიჯანი 0:3.

ჩვენს კალათბურთელ ჭაბუკებსაც და გოგონებსაც შეჯიბრების პირველ დღეს მძიმე ბრძოლა გადახდათ, მაგრამ საბოლოოდ მიზანს მიაღწიეს: ჭაბუკებმა დაამარცხეს ესტონეთის ძლიერი კოლექტივი — 63:55 (24:22), გოგონებმა კი მოლდავეთის ნაკრები — 67:52 (24:22).

საქართველოს წარმომადგენლებმა მეორე დღესაც იმარჯვეს: გოგონებმა მოუგეს აზერბაიჯანის გუნდს — 75:59 (45:22), ჭაბუკებმა კი მოლდავეთის კოლექტივს — 98:55 (31:28).

დანარჩენი შეხვედრები: ჭაბუკები. I ქვეჯგუფი. უკრაინა — ტაჯიკეთი 76:43, სომხეთი — ყაზახეთი 92:73, ლატვია — უზბეკეთი 58:49, უკრაინა — სომხეთი 80:71, ყაზახეთი — ლატვია 56:72, ტაჯიკეთი — უზბეკეთი 64:85; II ქვეჯგუფი. ბელორუსია — ყირგიზეთი 55:47, რსფსრ — აზერბაიჯანი 77:45, ლენინგრადი — ბელორუსია 57:95, ყირგიზეთი — რსფსრ 51:92; III ქვეჯგუფი. მოსკოვი — თურქმენეთი 97:45, ლიტვა — მოლდავეთი 98:45, თურქმენეთი — ესტონეთი 43:89, მოსკოვი — ლიტვა 68:66. გოგონები. I ქვეჯგუფი. მოსკოვი — ყირგიზეთი 80:47, ბელორუსია — აზერბაიჯანი 52:37, ყირგიზეთი — მოლდავეთი 61:57, მოსკოვი — ბელორუსია 82:40; II ქვეჯგუფი. უკრაინა — ყაზახეთი 60:39, ლიტვა — უზბეკეთი 103:33, ლატვია — ესტონეთი 62:54, ლიტვა — უკრაინა 54:74, ყაზახეთი — ლატვია 55:64, უზბეკეთი — ესტონეთი 58:78; III ქვეჯგუფი. სომხეთი — თურქმენეთი 52:45, ტაჯიკეთი — ლენინგრადი 58:81, რსფსრ — სომხეთი 82:40, თურქმენეთი — ტაჯიკეთი 58:91.

ტანმოვარჯიშე ჭაბუკებმა დაამთავრეს სავალდებულო პროგრამით ასპარეზობა. საქართველოს ნაკრები დიდად ვერაფრით დაიტრაბახებს — ჯერჯერობით მხოლოდ VIII ადგილზეა (263,65 ქულა). დაწინაურდნენ უკრაინის სპორტსმენები — 272,5 ქულა. II ადგილზე არიან ლენინგრადელები (269,15), III — მოსკოველები — 269,05. საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო იყო გ. იმედაშვილი, რომელმაც სავალდებულო პროგრამით შესრულებული ვარჯიშების შემდეგ 54,05 ქულა დააგროვა. ეს შედეგი პირველ ათეულში მოხვედრისთვისაც კი არ კმაროდა.

საქართველოს ხელბურთელმა ჭაბუკებმა დაამარცხეს ტაჯიკეთის წარმომადგენლები — 18:15 (10:10), გოგონებმა კი ყაზახეთის გუნდი — 15:11 (7:1).

ჩვენმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ესტონელები — 4,5-1,5 (2 პარტია გადადებულია).

14 ივლისი.

# პირველი პარტიის დაგოლოება

ფიშერი



სპასკი

41. ef (ჩაწერილი სვლა) 41. ... მფ:f4 42. მფh5 მფf5 43. კe3 მფe4 44. კf2 მფf5 45. კh4 e5 46. კg5 e4 47. კe3 მფf6 48. მფg4 მფe5 49. მფg5 მფd5 50. მფf5 a5 51. კf2 g5 52. მფ:g5 მფc4 53. მფf4 მფb4 54. მფ:e4 მფ:a4 55. მფd5 მფb5 56. მფd6 შავები დანებდნენ.

გადადებული პარტიის დამთავრებაზე ფიშერი დროულად გამოცხადდა. ყველას მიაჩნდა, რომ მისი პოზიცია მძიმე იყო, თუმცა რეიკიავიკში მყოფი მოჭადრაკეები ამბობდნენ, ყაიმია მოსალოდნელიო. მაგალითად, ამას წერდა გაზეთ „ტაიმსში" ისლანდიელი დიდოსტატი ფ. ოლაფსონი.

ამერიკელი მოჭადრაკე, რომელსაც დროის დიდი მარაგი ჰქონდა, არ ჩქარობდა. 43-ე სვლის შემდეგ იგი კულისებში გავიდა და ნახევარ საათს აღარ გამოჩენილა. სცენიდან გასვლის წინ იგი მთავარ მსაჯს ლ. შმიდს გამოელაპარაკა, თურმე მას დარბაზიდან ფოტოკამერის ჩხაკუნი გაუგონია. ეს არ შეიძლება მომხდარიყო, ვინაიდან კონტროლიორები არავის ატარებენ კინო და ფოტოაპარატურით. მიუხედავად ამისა, დარბაზში ვეებერთელა წარწერა გაჩნდა: „გადაღება არ შეიძლება!"

ფიშერის სვლების მიხედვით ჩანდა, რომ მას მსოფლიო ჩემპიონის შეცდომის იმედი არ ჰქონდა. სპასკი უნაკლოდ თამაშობდა. მან პარტია გამარჯვებამდე დამაჯერებლად მიიყვანა.

მიმომხილველებმა მყისვე აღნიშნეს, რომ ფიშერმა პრეტენდენტებთან ნათამაშევი ყველა მატჩი გამარჯვებით დაიწყო. ახლა მან წააგო, თუმცა, რა თქმა უნდა, მთავარი ბრძოლა წინაა.

* * *



ნ უ რ ა თ ი ზ ე: ბ. სპასკი (მარცხნივ) და რ. ფიშერი პირველი პარტიის დროს.

# მაქს ეივე: „ფიშერმა მოთმინების ფიალა აავსო და უფრო მეტიც"

რეიკიავიკი, 13 ივლისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩების ისტორიამ არ იცის „დებიუტი", რომელიც ფიშერმა მეორე პარტიაში გაითამაშა: უბრალოდ, ამერიკელი დიდოსტატი სათამაშოდ არ გამოცხადდა. რასაკვირველია, მას წაგება ჩაეთვალა. ანგარიში გახდა 2:0 მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის სასარგებლოდ.

ჟურნალისტებში გავრცელდა ცნობა, რომ ფიშერი მთელ მატჩს ბოიკოტით ემუქრება, ვინაიდან ამტკიცებს, დარბაზში ფარული კინოკამერები დგასო.

სპასკი 17 საათისთვის უკვე გამოფენათა სასახლეში იყო და სცენაზე გამოვიდა. დამსწრენი მას ტაშით შეხვდნენ. ჩემპიონი საჭადრაკო მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა (მას შავებით უნდა ეთამაშა) და მეტოქეს ლოდინი დაუწყო. 17 საათზე მატჩის მთავარმა არბიტრმა ლ. შმიდმა (გფრ) საათი ჩართო. ზუსტად ერთი საათის შემდეგ შმიდი ავანსცენაზე გამოვიდა და გამოაცხადა, რომ, ფიდე-ს წესების შესაბამისად, ფიშერს, რომელიც პარტიაზე არ გამოცხადდა, წაგება ეთვლება. ხალხით სავსე დარბაზში ისევ გაისმა ტაში.

ფიშერმა მთავარ არბიტრს არ შეატყობინა თავისი ახალი ჭირვეულობის მიზეზი. მან დაარღვია სპორტსმენის ქცევის ელემენტარული ნორმები, უპატივცემლოდ მოექცა მეორე პარტიაზე მოსულ ათასობით მაყურებელს.

პირველი პარტიის დამთავრების დღეს მას არ მოეწონა თავისი თანამემამულე ჩ. ფოქსის კინოჯგუფის კამერები, თუმცა ამერიკელს ნაყიდი აქვს გადაღების მონოპოლიური უფლება. ეს იცოდა ფიშერმა და პარტიის დასაწყისში პროტესტი არ გამოუთქვამს. მიუხედავად ამისა, პრეტენდენტს სურვილი ამჯერადაც შეუსრულეს და დაჰპირდნენ, რომ ხუთშაბათს გადაღება აღარ იქნებოდა. მაგრამ ხუთშაბათს ფიშერი სათამაშოდ არ გამოცხადდა, სწორედ პარტიის დაწყების წინ გავიდა სასტუმროდან და არაფერი დაუბარებია.

დღეს კი ცნობილი გახდა, რომ ფიშერმა დილით პროტესტი შეიტანა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილების გამო. ამ პროტესტს დღისით განიხილავს მატჩის სააპელაციო კომიტეტი.

ჩ. ფოქსმა თქვა:

— მე აღტაცებული ვარ ბორის სპასკის მოქცევით. მას გულით უნდა მატჩის თამაში და პირველი პარტია ზრწყინვალედაც ჩაატარა.

... როცა სპასკი სასტუმრო „საგაში" დაბრუნდა, იქ უკვე უამრავი დეპეშა დახვდა. მსოფლიო ჩემპიონს პირველი პარტიის მოგებას ულოცავდნენ ინჟინრები, მოსწავლეები, მეშახტეები, სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. სპასკის ბევრი დეპეშა მოსდის სხვა ქვეყნებიდანაც, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ა. ერმაკოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

● ●

რეიკიავიკი, 14 ივლისი. საბჭოთა ჭადრაკის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩის ანგარიშია 2:0 სპასკის სასარგებლოდ. გუშინ საღამოს რობერტ ფიშერი მატჩზე არ გამოცხადდა, არც რაიმე ახსნა-განმარტება მიუცია მსაჯებისთვის. ამიტომ მას მეორე პარტია წაგებულად ჩაუთვალეს. ამ გადაწყვეტილების შემდეგ მატჩის მთავარი მსაჯი ლოტარ შმიდი (გფრ) კორესპონდენტთა ალყაში აღმოჩნდა.

სახელდახელოდ გამართულ ამ პრესკონფერენციაზე შმიდმა განაცხადა, რომ მოქმედებს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად. მან თქვა, რომ მატჩი გაგრძელდება და, თუ ფიშერი შემდეგ პარტიაშიც ასე მოიქცა, იგივე ამბავი განმეორდება.

მაინც, რა სურს ფიშერს?

● ●

რეიკიავიკი, 14 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ფიშერის პროტესტი მატჩის მთავარი არბიტრის ლ. შმიდის გადაწყვეტილების გამო, რომელმაც ამერიკელ დიდოსტატს მეორე პარტიის სათამაშოდ გამოუცხადებლობის მიზეზით წაგება ჩაუთვალა, უარყოფილია. დღეს დილით შემოტანილი პროტესტი განიხილა მატჩის სააპელაციო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო: მელერი, არნლაუგსონი (ორივე — ისლანდია), კროგიუსი (სსრკ), კრამერი (აშშ) და შმიდი (იგი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა).

ფიშერის პროტესტი სამი ხმით იქნა უარყოფილი. მას მხოლოდ აშშ-ს წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი.

ამრიგად, დამტკიცდა მატჩის ანგარიში — 2:0 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

რაც შეეხება პრეტენდენტის პროტესტის მეორე ნაწილს (იგი დარბაზიდან ტელეკამერების გატანას ითხოვს), სააპელაციო კომიტეტმა გადაწყვიტა ჯერ დღეს საღამოს გამოფენათა სასახლეში მიიწვიოს მატჩის ორივე მონაწილე. კომიტეტის წევრები მათთან ერთად ერთხელ კიდევ დაათვალიერებენ შენობას და ამ პრობლემას განიხილავენ. გადაწყვეტილება მოგვიანებით იქნება მიღებული.

რეგლამენტის თანახმად, მესამე პარტია კვირას, 16 ივლისს უნდა გაიმართოს.

● ●

ამსტერდამი, 14 ივლისი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რეიკიავიკიდან შინ დაბრუნებულმა ფიდე-ს პრეზიდენტმა მ. ეივემ ჰოლანდიის ყოველკვირეულ „ელ ზევირ-ხის" კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ბ. სპასკის გამარჯვების იმედი აქვს.

ეივემ განმარტა, რომ რ. ფიშერის მიერ მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოხვეჭის შემთხვევაში ფიდე ძნელ სიტუაციებს წააწყდება.

რეიკიავიკიდან ახალი ამბავი — მეორე პარტიაზე ამერიკელი დიდოსტატის გამოუცხადებლობა რომ შეიტყო, ეივემ, რეიტერის კორესპონდენტის ცნობით, უიმედობა გამოთქვა მატჩის დამთავრების თაობაზე. „მე სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი პრეტენდენტის მხრივ სულ ახალი და ახალი გართულებების გამო", — თქვა მან.

ფიდე-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რეიკიავიკიდან ჯერ არ მიუღია წინადადება ჩაერიოს ამ მოვლენებში. ამავე დროს, იგი სავსებით იზიარებს მატჩის მთავარი არბიტრის ლ. შმიდის გადაწყვეტილებას, რომელმაც მეორე პარტიაში გამარჯვებულად სპასკი გამოაცხადა.

ეივეს მიაჩნია, რომ ფიშერს არა აქვს დარბაზში დადგმული სატელევიზიო კამერების წინააღმდეგ პროტესტის უფლება, ვინაიდან ეს მატჩის თაობაზე ამსტერდამის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. როგორც ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, ეივემ პირდაპირ ასე თქვა:

— ფიშერმა მოთმინების ფიალა აავსო და უფრო მეტიც.

**პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა**

50

# მონაწილე და მწვრთნელი

თბილისის ფალავანთა კლუბში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება ტარდებოდა. სარბიელზე გამოდიოდნენ „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „განთიადისა" და „ლოკომოტივის" სპორტსმენები.

მთავარი ბრძოლა „განთიადისა" და „სპარტაკის" წარმომადგენელთა შორის გაჩაღდა. განთიადელები ათივე წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ, „სპარტაკის" გუნდიკი ცხრა კაცით იბრძოდა, ვისაიდან ერთმა კოლექტივს უღალატა და საჭიდაოდ არ გამოცხადდა. მართალია, დარჩენილმა ცხრა სპარტაკელმა თავი არ დაზოგა, მაგრამ საბოლოოდ III ადგილზე წინ მაინც ვერ წავიდნენ. დაწინაურდნენ „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" გუნდები. II ადგილზე გასულმა სტუდენტებმა სპარტაკელებს მხოლოდ ქულით გაუსწრეს.

ერთი თვის წინ მინსკში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი, სადაც ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთაგან ზოგიერთი სუსტად გამოვიდა. მათ შორის იყო სპარტაკელი შ. პაპაშვილიც. ახლა კი მას სამი შეხვედრის მოგებისთვის სულ 3 წუთი დასჭირდა და უძლიერესის სახელიც მოიპოვა.

სპარტაკიადის სარბიელზე პაპაშვილთან ერთად ვიხილეთ საკავშირო ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე მონაწილე, მაგალითად, ე. კიკაბიძე, ჯ. თედეევი, ე. გოცირიძე...

მძიმე წონის ათლეტებს ნელი ჭიდაობა სჩვევიათ, მაგრამ განთიადელ ე. გოცირიძეზე ამას ვერ ვიტყვით. მან, ისევე, როგორც მინსკის საკავშირო ჩემპიონატში, შემტევი სტილით ახლაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებით მაინც პირველი საშუალო წონის ათლეტმა. განთიადელმა ჯ. თედეევმა გაიხარა, რომელიც ამ ტურნირში მონაწილეც იყო და მწვრთნელიც („განთიადის" გუნდი მან ზ. შეყრილაძესთან ერთად მოამზადა).

წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: განთიადელი დ. ქამიბაძე, ბურევესტნიკელები ხ. კაციაშვილი და მ. ჩხაიძე, სპარტაკელები ა. ბაირამოვი და ვ. ჭკადუა, ბურევესტნიკელი ე. კიკაბიძე, განთიადელი ჯ. თედეევი, სპარტაკელი შ. პაპაშვილი, განთიადელები რ. მოსეშვილი და ე. გოცირიძე.

**ვ. ქობულაშვილი.**

# რთველიაშვილის ორმაგი წარმატება

საგზატკეცილო ველოსპორტში თბილისის პირად-გუნდურმა პირველობამ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს მოუყარა თავი.

50 კილომეტრზე გუნდური რბოლა ბურევესტნიკელებმა (დ. კობაიძე, ო. სუჯაშვილი, ს. ხამუტოვი) მოიგეს — 1:10.12. II ადგილი ხვდა „განთიადს", III — „ლოკომოტივს".

25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესო იყო სპარტაკელი ვ. რთველიაშვილი — 35.30. II ადგილზეა კობაიძე, III — ს. გრიშკევიჩი („განთიადი").

დაძაბული იყო ჯგუფური რბოლა 100 კილომეტრზე. გამარჯვებული ზედ ფინიშის ხაზთან გამოვლინდა. ეს იყო რთველიაშვილი — 2:18.05. კობაიძეს II ადგილი ერგო, გრიშკევიჩს — III.

გუნდურ ჩათვლაში ბურევესტნიკელებმა იმარჯვეს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან „განთიადისა" და „ლოკომოტივის" ველოსიპედისტები.

დინამოელთა მოკრძალებული, V ადგილი იმით უნდა აიხსნას, რომ ამ საზოგადოების წამყვანი ველოსიპედისტები ცენტრალური საბჭოს პირველობაზე იყვნენ და თბილისის ასპარეზობაში სათადარიგო გუნდით გამოვიდნენ.

სამწუხაროდ, შეჯიბრებას კვლავ აარიდეს თავი არმიის სპორტკლუბის ველოსიპედისტებმა.

**ვ. ჯინჭარაძე,**
**თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი.**

სტუდენტთა VI საზაფხულო თამაშები

# ორი ღირსეული ჩემპიონი

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა უმაღლესი სასწავლებლების კალათბურთელთა ტურნირი.

დაძაბული იყო ქალთა გუნდების გადამწყვეტი მატჩები. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდნენ ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებულნი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა მეტოქე გახლდათ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ბინადარი — კაუნასის „პოლიტექნიკა".

პირველი ტაიმი მასპინძლებმა 13 ქულით მოიგეს — 33:20. მეორე ტაიმში სტუმრები გააქტიურდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სურგულაძემ დატოვა მოედანი. ქართველი კალათბურთელი ნაყოფიერად თამაშობდა დაცვაშიც და თავდასხმაშიც, მაგრამ 29-ე წუთზე მას 5 პერსონალური შენიშვნა დაუგროვდა და ბრძოლას გამოეთიშა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სურგულაძის ბედი გაიზიარა ჩვენი გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა რუსკინამაც. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები მწვავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ სიძნელეებს თავი გაართვეს და შეხვედრა მაინც მოიგეს — 61:57.

ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" სძლია ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის გუნდს (57:49) და თბილისელებთან ერთად ფინალში თამაშის უფლება მიიღო.

ფინალში ნევისპირელთა უპირატესობა აშკარა იყო. ისინი უფრო ორგანიზებულად, აზრიანად თამაშობდნენ. თბილისელთა დუნე ტემპი აშკარად ხელს უწყობდა მეტოქეს, რომელიც ოსტატურად ცვლიდა თამაშის რიტმს. ლენინგრადელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს — 76:59 (38:28) — და თამაშების ჩემპიონობა მოიპოვეს.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ კაუნასისა და ტაშკენტის გუნდები. კაუნასელებმა იოლად გაიმარჯვეს — 74:55.

ვაჟებში ჩემპიონობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა მოიპოვა. ეს გუნდი, რომელიც ჯერ კიდევ წლეულს უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, აშკარად ძლიერი იყო თავის მეტოქეებზე. თბილისელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს კაუნასის „პოლიტექნიკა" — 91:82 (37:38). ფინალში ისინი შეხვდნენ კიშინიოვის „პოლიტექნიკს", რომელმაც, თავის მხრივ, იოლად მოუგო მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის კალათბურთელებს — 79.64.

ფინალურმა მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (სასტარტო ხუთეული: ჩხიკვაძე, ბიჭიაშვილი, პულავსკი, ალთაბაევი, ძიძიგური) უფრო მაღალი კლასის კოლექტივია, ვიდრე მისი მეტოქე. და მაინც, კიშინიოველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მთელი 40 წუთის მანძილზე უაღრესად მონდომებულად თამაშობდნენ. შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც ჩვენმა გუნდმა 15 ქულით მოიგო — 49:34. მასპინძლებს ინიციატივა ხელიდან არც შესვენების შემდეგ გაუშვიათ და გაიმარჯვეს — 87:77.

III ადგილი დაიკავა კაუნასის კოლექტივმა, რომელმაც ანგარიშით 92:81 სძლია მინსკის გუნდს.

**ნ. გუგუშვილი.**

• • •

აი, როგორ განაწილდნენ სატურნირო ცხრილში პირველობისთვის მებრძოლი გუნდები:

### ქალები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ლენინგრადი | 5 | 5 | 0 | 5 |
| თბილისი | 5 | 4 | 1 | 4 |
| კაუნასი | 5 | 3 | 2 | 3 |
| ტაშკენტი | 5 | 2 | 3 | 2 |

### ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 5 | 0 | 5 |
| კიშინიოვი | 5 | 3 | 2 | 3 |
| კაუნასი | 5 | 3 | 2 | 3 |
| მინსკი | 5 | 3 | 2 | 3 |

[illegible]

**✦ ზესტაფონი**

მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — ტაბაკინი — მაყვლარიანის მთა — საკრაულა — ზესტაფონი. გზად მოსწავლეებმა ისტორიული ადგილებიც დაათვალიერეს.

• • •

გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში წარმატებით მიმდინარეობს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ქარხნის მუშების ერთმა ნაწილმა სანორმატივო მოთხოვნები შეასრულა 100 მეტრზე რბენაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომასა და ღერძზე მიზიდვაში. ახლახან აქ მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის კეთილმოწყობილი კორტი.

**ა. განუგრავა.**

# XIII საკავშირო და XXV რესპუბლიკური...

პროფტექნიკური სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადების ფინალური ნაწილი ტრადიციულად საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ ქალაქში აგვისტოს თვეში ტარდებოდა. წლეულს ეს ტრადიცია დაირღვა. XIII სპარტაკიადამ, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება, სტარტი ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე აიღო და დღეისთვის ნახევარი გზაც არ გაუვლია. ამასთან, სასპარტაკიადო შეჯიბრებები სხვადასხვა ქალაქში ტარდება.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით საქართველოს თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეების, აგრეთვე, სპორტული ტანვარჯიშის წარმომადგენელთა წარმატებას.

ახლახან მოსკოვში დამთავრდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტრეკზე ველორბოლაში. საქართველოს წარგზავნილებმა არც აქ შეირცხვინეს თავი და საერთო გუნდურ ჩათვლაში 33,5 ქულით III ადგილი დაიკავეს. მათ მხოლოდ ესტონეთისა (66) და ლენინგრადის (44) გუნდებმა გაუსწრეს. ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ ტრეკზე ველორბოლა სპარტაკიადის პროგრამაში პირველად იყო შეტანილი.

ჩვენი გუნდის წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა თბილისელმა ნ. ივანოვმა. მან არავის დაუთმო პირველობა სპრინტში, ხოლო ადგილიდან 500 მეტრზე გიტში მეორე იყო. ჯგუფურ რბოლაში 40 წრეზე 10 ფინიშით ივანოვმა II-III ადგილები გაინაწილა თურქმენეთის წარმომადგენელ ო. საფაროვთან.

მართალია, ზემოჩამოთვლილ სახეობებში საკავშირო ფინალური შეჯიბრებები უკვე დამთავრდა, მაგრამ ეს სახეობები მაინც შეიტანეს საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების XXV სპარტაკიადის პროგრამაში, რომელიც ამას წინათ დასრულდა თბილისის ბაზებზე. ასპარეზობაში 23 გუნდის 1200 სპორტსმენი მონაწილეობდა.

პროგრამაში 16 სახეობა შედიოდა. საერთო კომპლექსურ ჩათვლაში თბილისის სასწავლებლებმა ტრადიციას არ უღალატეს: როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის ყველა საპრიზო ადგილი გაინაწილეს. გოგონებში ყველას აჯობეს 36-ე სასწავლებლის მოსწავლეებმა (21 საჯარიმო ქულა), რომელთაც პირველობა მოიპოვეს სატრეკო და საგზატკეცილო ველორბოლაში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, აკრობატიკაში და ბატუტზე ხტომაში. II ადგილზე გავიდნენ 23-ე (25), ხოლო III — 54-ე (48) სასწავლებლების წარმომადგენლები.

ჭაბუკთა საერთო კომპლექსურ ჩათვლაში მწვავე ბრძოლა გააჩაღეს მე-11, 31-ე და მე-60 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა. საბოლოოდ, 31-ე და მე-60 სასწავლებლების გუნდებს საჯარიმო ქულათა თანაბარი რაოდენობა (60-60) დაუგროვდათ, მაგრამ უპირატესობა პირველს მიაკუთვნეს, ვინაიდან მას მეტი გამარჯვებული ჰყავდა. ამ სასწავლებლის წარმომადგენლებმა პირველობა მოიპოვეს ფეხბურთში, აკრობატიკაში და ბატუტზე ხტომაში.

სხვა კოლექტივებიდან ცალკეულ სახეობებში გუნდური გამარჯვება მხოლოდ ბათუმის 1-ლი (ცურვა), ფოთის მე-12 (ნიჩბოსნობა და კალათბურთი), სურამის მე-14 (კლასიკური ჭიდაობა) და ზუგდიდის 62-ე (ტანვარჯიში) სასწავლებლების წარმომადგენლებს ხვდათ.

წარუმატებლად გამოვიდნენ თელავის 52-ე, რუსთავის მე-16 და სოხუმის 58-ე სასწავლებლების ჭაბუკთა გუნდები.

განსაკუთრებით გაკიცხვის ღირსია თბილისის 27-ე სასწავლებლის გოგონათა გუნდი, რომელიც კომპლექსურ ჩათვლაში ბოლო ადგილზე დარჩა. აღსანიშნავია, რომ იგი შარშანდელი სპარტაკიადის ჩემპიონია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელთან შედარებით სპორტსმენთა მომზადების დონე ბევრად მაღალი იყო. მაგალითად, შარშან მხოლოდ 5 პირველი თანრიგის შედეგი იქნა ნაჩვენები, დანარჩენი მაჩვენებლები კი მეორე თანრიგის ნორმატივებს არ აღემატებოდა. წლევანდელ სპარტაკიადაში ნაჩვენებია 5 სპორტის ოსტატისა და 34 პირველი თანრიგის შედეგი. უკეთესი მდგომარეობაა კანოეებითა და ბაიდარებით ნიჩბოსნობაშიც, სადაც 7 პირველი თანრიგის შედეგი იქნა ნაჩვენები.

კვლავინდებურად ნაკლებ პატივშია „სპორტის დედოფალი". მძლეოსნურ ბილიკებზე 159 მონაწილე გამოკიდა და მათგან მხოლოდ ორმა რის ვაივაგლახით შეძლო მეორე თანრიგის ნორმატივის ჩვენება. ასეთი მძლეოსნების გამოყვანა პროფტექნიკური სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე სამარცხვინოა და ალბათ ისინი ახლაც შინ დარჩებიან, როგორც შარშანდელი, XII საკავშირო სპარტაკიადის დროს მოხდა.

**ა. გურასაშვილი.**

ფეხბურთი

# კენჭისყრა მოეწყო

12 ივლისს უეფა-ს საშტაბო ბინაში (ციურიხი) გაიმართა სამი ევროპული ტურნირის კენჭისყრა, რომელმაც გამოავლინა მომავალი მეტოქენი.

### ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

„ვაკერი" (ავსტრია, ინსბრუკი) — „დინამო" (კიევი), „აიაქსი" (ჰოლანდია) — „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია, ტრნავა), „რეალი" (ესპანეთი, მადრიდი) — „კეფლავიკი" (ისლანდია), „ანდერლეხტი" (ბელგია) — „ვაილე" (დანია), „უიპეშტ დოჟა" (უნგრეთი) — „ბაზელი" (შვეიცარია), „სელტიკი" (შოტლანდია) — „როსენბორგი" (ნორვეგია), „ბაიერნი" (გფრ) — „გალათასარაი" (თურქეთი), „ოლიმპია" (საფრანგეთი, მარსელი) — „იუვენტუსი" (იტალია), „მალმე" (შვეცია) — „ბენფიკა" (პორტუგალია), ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე" (ბულგარეთი) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი), „სლიემა" (მალტა) — „გურნიკი" (პოლონეთი), „მაგდებურგი" (გდრ) — „ტურიუნი" (ფინეთი), „არისი" (ლუქსემბურგი) — „არჯესი" (რუმინეთი), „დერბი კაუნთი" (ინგლისი) — „ჟელეზნიჩარი" (იუგოსლავია), „უოტერფორდი" (ირლანდია) — „ომონია" (კიპროსი).

### თასების მფლობელთა თასი

ადო (ჰოლანდია) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „ატლეტიკო" (ესპანეთი, მადრიდი) — „ბასტია" (საფრანგეთი), „მილანი" (იტალია) — „რედ ბოისი" (ლუქსემბურგი), „ფერენცვაროში" (უნგრეთი) — „ფლორიანა" (მალტა), „შალკე-04" (გფრ) — „სლავია" (ბულგარეთი), „ლეგია" (პოლონეთი) — „ვიკინგური" (ისლანდია), „ანკარა გიუჯიუ" (თურქეთი) — „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი), „ჰაიდუკი" (იუგოსლავია) — „ფრედრიქსტადი" (ნორვეგია), „რაპიდი" (ავსტრია) — პაოკ-ი (საბერძნეთი), „ციურიხი" (შვეიცარია) — „რექსჰემი" (უელსი), „სპორტინგი" (პორტუგალია) — „ჰიბერნიენი" (შოტლანდია), „ლანდსკრუნა ბოისი" (შვეცია) — „რაპიდი" (რუმინეთი), „პეზოპორიკოსი" (კიპროსი) — „კორკ ჰიბერნიენსი" (ირლანდია), „ფრემადი" (დანია) — „ბესა" (ალბანეთი), „კარლ ცაისი" (გდრ) — „მიკელი" (ფინეთი), ჩეხოსლოვაკიის თასის მფლობელი „სლოვანი" (ბრატისლავა) ან „სპარტა" (პრაღა) — „სტანდარდი" (ბელგია).

### უეფა-ს თასი

I ჯგუფი. „აბერდინი" (შოტლანდია) — „ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ), „ბრიუგე" (ბელგია) — „ატვიდაბერგი" (შვეცია), „ტოტენჰემი" (ინგლისი) — „ლიუნი" (ნორვეგია), „ჰვიდოვრე" (დანია) — „იფკ" (ფინეთი).

II ჯგუფი. „მანჩესტერ-სიტი" (ინგლისი) — „ვალენსია" (ესპანეთი), „კიოლნი" (გფრ) — „ბოჰემიენსი" (ირლანდია), „ჰონვედი" (უნგრეთი) — „პაიკი" (შოტლანდია), „ვიკინგი" (ნორვეგია) — იბვ (ისლანდია).

III ჯგუფი. სკა „რიუმელინგენი" (ლუქსემბურგი) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია), „ლივერპული" (ინგლისი) — „აინტრახტი" (გფრ), „გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „ოლიმპიკი" (საფრანგეთი, ნიმი), „ვიტორია" (პორტუგალია) — „ზაგლენბიე" (პოლონეთი).

IV ჯგუფი. „სტოკ-სიტი" (ინგლისი) — „კაიზერსლაუტერნი" (გფრ), „რეისინგ უაიტი" (ბელგია) — „ბარეირენსე" (პორტუგალია), „ტორინო" (იტალია) — „ლას-პალმასი" (ესპანეთი), „სოშო" (საფრანგეთი) — „ფრემი" (დანია).

V ჯგუფი. „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „კალიარი" (იტალია), „ანჟერი" (საფრანგეთი) — „დინამო" (გდრ, ბერლინი), „პორტო" (პორტუგალია) — „ბარსელონა" (ესპანეთი), „უნივერსიტატეა" (რუმინეთი, კლუჟი) — „სპარტაკ-ლევსკი" (ბულგარეთი).

VI ჯგუფი. „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „ლოზანა" (შვეიცარია), „ინტერნაციონალე" (იტალია) — „ლა-ვალეტა" (მალტა), „ბეროე" (ბულგარეთი) — „აუსტრია" (ავსტრია), „უტ არადი" (რუმინეთი) — „ნორჩეპინგი" (შვეცია).

VII ჯგუფი. ეპა (კიპროსი) — „არარატი" (ერევანი), აეკ-ი (საბერძნეთი) — „შალგოტარიანი" (უნგრეთი), „ესქიშეჰირსპორი" (თურქეთი) — „ფიორენტინა" (იტალია), „ოფკ ბელგრადი" (იუგოსლავია) — „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია).

VIII ჯგუფი. „სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) — „ვოივოდინა" (იუგოსლავია, ნოვი-სადი), „დინამო" (თბილისი) — „ტვენტე" (ჰოლანდია, ენსხედე), „რუხი" (პოლონეთი) — „ფენერბაჰჩე" (თურქეთი), „დინამო" (დრეზდენი) — „ლინცი" (ავსტრია).

სამივე ევროპული ტურნირი დაიწყება 13 სექტემბერს, ხოლო განმეორებითი მატჩები 27 სექტემბერს შედგება.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი 30 მაისს გაიმართება ბელგრადში, თასების მფლობელთა თასის ფინალი — 16 მაისს პარიზში. უეფა-ს თასის გათამაშების ფინალური მატჩები გაიმართება 9 და 23 მაისს.

# მიუნხენი-72

## სსრ კავშირის პირველობა

12 ივლისს მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და როსტოვის ასკ. ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა მინსკელმა ბოგოვიკმა. შესვენების შემდეგ ანტონოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

### უმაღლესი ლიგა

### I ლიგა

გუშინ: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 1:0; გოლი — ხერხაძე (მე-7 წუთზე).

### II ლიგა III ზონა

## მესამე გამარჯვება ზედიზედ

13 ივლისს ლანჩხუთში შედგა მეტად საინტერესო შეხვედრა: ადგილობრივმა „გურიამ“ გორის „დილა“ მიიღო.

მასპინძლები ძნელი ამოცანის წინაშე იყვნენ: ერთობ წარუმატებელი სტარტის შემდეგ გუნდმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, თავი დააღწია აუტსაიდერთა რიგებს და ამჯერად თავისი პოზიციები უნდა განემტკიცებინა წამყვან ჯგუფში მყოფ გორის ძლიერ გუნდთან შეხვედრაში.

ლანჩხუთელებმა კარგად დაიწყეს თამაში და უკვე მე-15 წუთზე ძიძიგურს მიეცა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა. იგი პირისპირ აღმოჩნდა მეტოქის კართან, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა. ცოტა ხნის შემდეგ „დილის“ მცველმა კობიაშვილმა დაუდევრად მიაწოდა ბურთი თავის მეკარეს, ეს დროზე შეამჩნია ძაგანიამ, მიუსწრო ბურთს და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

შესვენების შემდეგ „გურია“ შეტევებს განაგრძობდა. 48-ე წუთზე გორელთა მეკარე ტატაევს თავგანწირული ნახტომით მოუხდა თავისი კარის ხსნა აჩაიშვილის ძლიერი დარტყმისგან, ხოლო 56-ე წუთზე ძაგანიასა და ძიძიგურის მიერ გათამაშებული სწრაფი კომბინაცია სტუმრების კარში მეორე გოლით დასრულდა. ცოტა ხანში ტატაევს კვლავ მოუხდა ძნელი ბურთის აღება, ამჯერად — სიხარულიძისგან.

იგრძნეს რა დამარცხების რეალური საშიშროება, გორელებმა გარდატეხეს თამაში. რამდენიმე სახიფათო შეტევის შემდეგ ქერდიკაშვილმა მიიღო ბურჯანაძის გადაცემა და საპასუხო ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. შემდგომში „დილა“ განუწყვეტლივ უტევდა, მაგრამ წაგებას მაინც ვერ დააღწია თავი, თუმცა ბოლო წუთზე „გურიის“ მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ხუციშვილს შეეძლო ეხსნა ქულა.

„გურიამ“, რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**ო. მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
ლანჩხუთი.

## დამაჯერებლად

ფოთის „კოლხეთი“ თავის მინდორზე შეხვდა რუსთავის „მეტალურგს“. მატჩის დასაწყისი მასპინძელთათვის მარცხიანი აღმოჩნდა: ჩიტაურისა და ბაჩიაშვილის მიერ გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ამ უკანასკნელმა — 1:0.

ეს მოხდა მე-15 წუთზე. გავიდა სულ 5 წუთი და „მეტალურგის“ კარში საპასუხო გოლი გაიტანა ჭედიამ.

ფოთელებს ამის მერე თითქმის არ შეუწყვეტიათ იერიშები და სტუმრები ორჯერ გადაურჩნენ აშკარა გოლს დოროხინისა და სანაიას დარტყმების შემდეგ: ბურთი ორივეჯერ ძელს მოხვდა.

ტაიმის დასასრულს „კოლხეთმა“ მაინც შეძლო გოლით დაემთავრებინა თავისი ერთ-ერთი შეტევა — 2:1. ბურთი გაიტანა სანაიამ.

მეორე ტაიმში თამაში კვლავ რუსთაველთა ნახევარზე მიმდინარეობდა. ლამაზი კომბინაცია ჭედიას და კვარაცხელიას შესრულებით მეტალურგების კარში გატანილი მესამე გოლით დამთავრდა, ხოლო შემდგომში იმავე კვარაცხელიამ ამ მატჩის ბოლო გოლი გაიტანა: 4:1 „კოლხეთის“ სასარგებლოდ.

**ბ. ბასილაია.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ფოთი.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1, „დინამო“ (ბრიანსკი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) 4:1, „ზვეზდა“ (ტირასპოლი) — „სალიუტი“ (ბელგოროდი) 3:0.

# საჭიროა ახლებურად ვარჯიში და თამაშიც

ევროპის ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ამასთან, ფინალამდე დაამარცხეს ჩრდილოეთ ირლანდიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდები. საბჭოთა ნაკრები ერთადერთია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპის პირველობათა ოთხივე ფინალურ შეჯიბრებაში.

— მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა გუნდმა II ადგილი დაიკავა, — უთხრა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ლ. ზენჩენკომ საქდესის კორესპონდენტს. — ჩვენ არა ვართ კმაყოფილი მისი თამაშისა. ამასთან დაკავშირებით კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ფინალურ მატჩს. სუსტად ითამაშეს ბ. ნიშევსკიმ. კოზინკევიჩმა, ბაიდაჩნიმ და კონკოვმა.

მაგრამ საქმე მხოლოდ ცალკეულ ფეხბურთელებში როდია. ნაკრების თამაშში არსებული მრავალი ხარვეზი ჩვენი საკლუბო ფეხბურთის საერთო ნაკლოვანებებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაბალი დონე.

პროფკავშირების საკავშირო სპორტსაზოგადოებათა, სპორტსაზოგადოება „დინამოს“, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელები არ ახორციელებდნენ სისტემატურ კონტროლს კლუბებში ფეხბურთელთა მზადებაზე და ამიტომ არ იყო უზრუნველყოფილი მუშაობა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატების მოსამზადებლად.

ფეხბურთელთა ათლეტური მომზადებისთვის ბევრს და ნაყოფიერად მუშაობენ მხოლოდ ვოროშილოვგრადის „ზარიაში“. ამ გუნდის ხელმძღვანელებმა მიაღწიეს, რომ მოთამაშეები შეგნებულად, პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან ვარჯიშს. შემთხვევითი არაა, რომ „ზარია“ ლიდერია საკავშირო ჩემპიონატში.

ბევრ კლუბში სასწავლო-საწვრთნელი პროცესი დაბალ დონეზე მიმდინარეობს. სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა ბოლო წლებში მკვეთრად გაზარდეს საწვრთნელი დატვირთვის მოცულობა, ფეხბურთელები კი უწინდებურად ერთნახევარ-ორ საათს ვარჯიშობენ დღეში და ისიც სრული ინტენსივობით არა. ამიტომ ისინი ვერ უძლებენ მაღალ დატვირთვას საპასუხისმგებლო მატჩებში, არ შეუძლიათ აღმოფხვრან ნაკლოვანებები ბურთის ფლობის ტექნიკაში.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა რეზერვთან. ჩვენი გუნდების ხელმძღვანელები ნორჩ ფეხბურთელებთან გულმოდგინე მუშაობის ნაცვლად მოთამაშეთა გადაბირების მცდარ გზას დაადგნენ, ამასთან, მათ სახელმწიფოს ხარჯზე აძლევენ დაპირებას.

აგვისტოს დამლევს და სექტემბრის დამდეგს სსრ კავშირის წამყვანი ფეხბურთელები ოლიმპიურ თამაშებში გამოვლენ. 18 ივლისს შედგება ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა კრება კლუბების მწვრთნელთა მონაწილეობით, სადაც განიხილება საჭირბოროტო პრობლემები.

ოლიმპიადისათვის ფეხბურთელთა მომზადება დაევალა ნაკრების უფროს მწვრთნელს ა. პონომარიოვს. ნაკრების მწვრთნელი ნ. გულიაევი განთავისუფლებულია. პონომარიოვს მოეხმარება „ზარიას“ ხელმძღვანელი გ. ზონინი.

გადაწყდა დაწესდეს პრიზი საკლუბო გუნდისთვის, რომელიც ყველაზე დიდ წვლილს შეიტანს საერთაშორისო სარბიელზე სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წარმატებებში.

უძლიერესი საბჭოთა გუნდების მწვრთნელებს 1973 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად წამყვან უცხოურ კლუბებში გაგზავნიან.

1973 წლის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში გათვალისწინებულია ტურები ჩატარდეს კვირაში ერთხელ, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის უკეთ ორგანიზაციას.

გადაწყდა უახლოეს ხანებში შეტანილი იქნეს კორექტივები ფეხბურთელთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადების საკონტროლო ნორმატივებში, აგვისტოში მოეწყოს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა მიერ ნორმატივების ღია, სახალხო ჩაბარება და შედეგები პრესაში გამოცხადდეს.

# საქართველოს პირველობა

## II ჯგუფი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 15 | 11 | 1 | 3 | 38—13 | 23 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 14 | 10 | 2 | 2 | 19—5 | 22 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 13 | 10 | 0 | 3 | 38—8 | 20 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 14 | 7 | 4 | 3 | 23—5 | 18 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 14 | 6 | 5 | 3 | 16—15 | 17 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 15 | 6 | 5 | 4 | 25—31 | 17 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 14 | 7 | 1 | 6 | 22—16 | 15 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 14 | 6 | 2 | 6 | 26—21 | 14 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 14 | 5 | 4 | 5 | 21—22 | 14 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 14 | 5 | 4 | 5 | 16—18 | 14 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 13 | 4 | 3 | 6 | 19—21 | 11 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 15 | 4 | 3 | 8 | 16—22 | 11 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 14 | 4 | 3 | 7 | 19—26 | 11 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 12 | 3 | 3 | 6 | 10—16 | 9 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 11 | 3 | 2 | 6 | 6—14 | 8 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 12 | 2 | 0 | 10 | 8—27 | 4 |
| „ბარისი“ (თეთრი წყარო) | 14 | 2 | 0 | 12 | 12—44 | 4 |

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 14 | 10 | 4 | 0 | 37—8 | 24 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 15 | 10 | 1 | 4 | 29—19 | 21 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 14 | 9 | 1 | 4 | 26—9 | 19 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 15 | 8 | 3 | 4 | 28—13 | 19 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 14 | 7 | 5 | 2 | 23—12 | 19 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 14 | 7 | 4 | 3 | 32—18 | 18 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 15 | 8 | 2 | 5 | 28—20 | 18 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 15 | 7 | 3 | 5 | 21—16 | 17 |
| „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) | 15 | 6 | 4 | 5 | 38—18 | 16 |
| „კომეტა“ (ფოთი) | 14 | 5 | 4 | 5 | 17—16 | 14 |
| „დიოსკურია“ (სოხუმი) | 15 | 5 | 2 | 8 | 26—24 | 12 |
| ხდკ (სამტრედია) | 14 | 4 | 4 | 6 | 19—29 | 12 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 16 | 5 | 2 | 9 | 14—26 | 12 |
| „ბაღმარო“ (ჩოხატაური) | 15 | 4 | 3 | 8 | 18—26 | 11 |
| „მზიური“ (გალი) | 15 | 4 | 3 | 8 | 10—24 | 11 |
| „კახაბერი“ (ხელვაჩაური) | 14 | 1 | 1 | 12 | 13—61 | 3 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 14 | 0 | 2 | 12 | 8—48 | 2 |

## ცსკა დაწინაურდა

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო თასის გათამაშების პირველი ეტაპი. მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: **„ა“ ქვეჯგუფში** — „სტროიტელმა“ (კიევი), „სპარტაკმა“ (ლენინგრადი), „კალევმა“ (ტარტუ) და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულმა კლუბმა (ერევანი); **„ბ“ ქვეჯგუფში** — „ტრუდმა“ (მოსკოვის ოლქი), „ჟალგირისმა“ (კაუნასი), ცსკა-მ და „ლოკომოტივმა“ (ალმა-ათა).

სამწუხაროდ, სულ ბოლო მომენტში ლენინგრადელებმა უარი თქვეს გათამაშებაში მონაწილეობაზე და „ა“ ქვეჯგუფში სამი გუნდილა დარჩა.

მეოთხედფინალის გზაზე „სტროიტელმა“ მოიგო უკრაინის ზონის ტურნირი, სადაც მას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია კიევის მეორე გუნდმა — ასკ-მ. ბალტიისპირეთისა და ბელორუსიის ზონიდან ბრძოლას განაგრძობს ორი კოლექტივი — „კალევი“ და „ჟალგირისი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესტონელთა წარმატება, რომელთა წამყვანი მოთამაშეებიც ამ მატჩებში არ მონაწილეობდნენ.

მოსკოვის ზონალური ტურნირი ცსკა-მ მოიგო. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, რომელიც ამ გათამაშებაში ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდის (პეტრაკოვი, ი. კოვალენკო, ისტრებოვი, მოროზოვი და სხვ.), დამატებით ატესტაციას არ საჭიროებს. იგი გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტია.

ამიერკავკასიის ზონა ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბითაა წარმოდგენილი, რსფსრ-ს ზონა — მოსკოვის ოლქის „ტრუდით“, შუა აზიის ზონა კი ალმა-ათის „ლოკომოტივით“.

პირველი მეოთხედფინალური მატჩები ჩაატარა ცსკა-მ. მან ჯერ „ტრუდი“ დაამარცხა ანგარიშით 116:87, მერე კი ალმა-ათის „ლოკომოტივი“ — 95:71.

**19 45**

◆ ციურიხი, 14 ივლისი. უეფა-ს 1973 წლის ტურნირის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა იუნიორ ფეხბურთელებთან ერთად უნგრეთისა და თურქეთის გუნდები ითამაშებენ. ეს ცნობილი გახდა აქ გამართული წილისყრის შემდეგ. ყოველი ჯგუფიდან (სულ 9 ჯგუფია) ფინალის საგზურს მხოლოდ უძლიერესი გუნდი მიიღებს. შვიდი ნაკრები კოლექტივი პირდაპირ ფინალშია დაშვებული. წინასწარი თამაშები 23 აპრილამდე უნდა დამთავრდეს. ტურნირის ფინალური ნაწილი 31 მაისიდან 9 ივნისამდე გაიმართება იტალიაში.

# თუხარელი და პერეგუდოვი — უძლიერესები

თბილისში, „დინამოს“ კორტებზე, დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა თბილისის ნაკრები, II — აფხაზეთის გუნდი, III — აჭარის კოლექტივი.

შეჯიბრების დებულების თანახმად, პირადი პირველობა ნახევარფინალამდე ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. სამ-სამი გამარჯვების შემდეგ ქალთა ერთეულების თანრიგის ნახევარფინალში გავიდნენ სპორტის ოსტატები ა. ივანოვა, ნ. თუხარელი, ლ. მგალობლიშვილი და ო. პაპაიანი.

ამ ეტაპიდან შეხვედრები წრიული სისტემით ჩატარდა. 2-2 ქულა მოაგროვეს თუხარელმა, ივანოვამ და პაპაიანმა. თუხარელმა ივანოვასთან პირადი მოგების წყალობით მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. II ადგილზეა ივანოვა, III — პაპაიანი.

გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ივანოვაზე, მოთამაშეზე, რომელსაც საუცხოო ტექნიკური მონაცემები, კარგი ფიზიკური მომზადება, თამაშის ძლიერი შემტევი სტილი აქვს, ოღონდ, რაც მთავარია, ნებისყოფა აკლია. ეს ნათლად იგრძნობოდა თუხარელთან შეხვედრაში. პირველი პარტიის წაგების (3:6) შემდეგ მეორე პარტიაში ივანოვა წინ იყო (4:1) და ეს ხელი მის სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ოდნავ მოდუნდა თუ არა, თუხარელმა ოსტატურად შეძლო ჯერ მდგომარეობის გათანაბრება, შემდეგ კი პარტიის მოგებაც (6:4).

ქალთა წყვილებში I ადგილი დაიკავეს ივანოვამ და თუხარელმა, II — პაპაიანმა და ტ. ფარსადანოვამ, III — რ. აბჟანდაძემ და ი. ერმოლოვამ.

ვაჟთა შეჯიბრების უძლიერესთა ოთხეულში გავიდნენ თბილისის წლევანდელი ჩემპიონი გ. ახალაძე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ლ. მძინარიშვილი, ვ. პერეგუდოვი და ბ. სენჩუროვი. სამი გამარჯვების შემდეგ I ადგილზეა პერეგუდოვი. ორი გამარჯვებით II ადგილზე გავიდა ახალაძე. III ადგილი წილად ხვდა მძინარიშვილს.

ვაჟთა წყვილების ფინალში ვ. გოგლიძემ და ახალაძემ დაამარცხეს პერეგუდოვი და ვ. ასათიანი. III ადგილზე გავიდნენ ძმები პ. და ვ. აბაშკინები.

შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს ივანოვამ და პერეგუდოვმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს თუხარელი და ახალაძე. III ადგილზე არიან ერმოლოვა და მძინარიშვილი.

სასიხარულოა, რომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ კორტზე კვლავ ვიხილეთ აბჟანდაძე და ერმოლოვა.

**ლ. მგალობლიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინალში ითამაშებენ

სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონატის — მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მთლიანი შემადგენლობის დასახელება ჯერ შეუძლებელია, მაგრამ უკვე ცნობილია ამ შეჯიბრების დებიუტანტების სახელები. ესაა, მაგალითად, კურგანელი ოსტატი ნ. რაშკოვსკი, რომელმაც ჩელიაბინსკის ნახევარფინალურ ტურნირში გაიმარჯვა. მან საუკეთესო შედეგი აჩვენა, 17-დან 11,5 ქულა მოიპოვა და ოთხ დიდოსტატს გაუსწრო, ამასთან ამ მოჭადრაკემ ტურნირი წაუგებლად განვლო.

ფინალის დანარჩენი სამი საგზური დაისაკუთრეს დიდოსტატებმა ე. გუფელდმა (თბილისი) და ა. ლეინმა (მოსკოვი), აგრეთვე, მეორე დებიუტანტმა — მოსკოველმა ი. რაზუვაევმა. მათ 11-11 ქულა მოაგროვეს.

ნახევარფინალში, რომელიც უჟგოროდში ჩატარდა, I ადგილი ლენინგრადელმა დიდოსტატმა ს. ფურმანმა დაიკავა. საფეხურით ქვემოთ განლაგდნენ მოსკოველი დიდოსტატები ე. ვასიუკოვი და რ. ხოლმოვი. ფინალისტთა რიცხვში მოხვდა IV ადგილზე გასული ოსტატი მ. მუხინიც (ყაზახეთი).

ქვეყნის პირველობის კიდევ ორი ნახევარფინალური ტურნირი ოდესასა და კალინინგრადში უნდა გაიმართოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩემპიონის ოქროს მედლისთვის და მსოფლიო პირველობის ახალი ციკლის საზონათაშორისო ტურნირის ოთხი საგზურისთვის მებრძოლთა მთლიანად დასახელება.

ქალთა ჩემპიონატის ფინალში პირველად ითამაშებს 18 წლის სტუდენტი, გორკელი ა. ეპშტეინი, რომელიც მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა კლაიპედის ნახევარფინალურ ტურნირში გამარჯვებულს, მოსკოველ ე. რუბცოვას (10 ქულა 13-დან). ოთხეულში შევიდნენ, აგრეთვე, საერთაშორისო ოსტატები გ. ზორიხენკო (ტაშკენტი) და ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი).

სვერდლოვსკის ნახევარფინალის ფინიშის „ხაზი" ერთდროულად გადაკვეთა სამმა მოჭადრაკემ — ოსტატებმა ნ. კონოპლიოვამ (მოსკოვი), ლ. საუნინამ (სვერდლოვსკი) და ოსტატობის კანდიდატმა ე. ზაჟინამ (ლენინგრადი) — 8,5-8,5 ქულა. IV ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ა. კისლოვამ (ომსკი) — 8.

კიდევ ორი ნახევარფინალური ტურნირი ჟდანოვსა და დონეცკში გაიმართება.




# XX ოლიმპიური თამაშების აღსანიშნავად

მოსკოვი. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა საფოსტო ბლოკი და მარკების სერია „XX ოლიმპიადის თამაშები. 1972 წელი".

სურათებზე: ახალი საფოსტო ბლოკი; ოლიმპიადისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების ახალი სერია.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ცხელი კვალით

● ლიეპაია (ლატვიის სსრ), 13 ივლისი. „ჭადრაკის დედოფალი" — V საკავშირო საჭადრაკო ფესტივალის პრიზი, რომლის გათამაშებაც „ხალხთა მეგობრობის" დევიზით ჩატარდა, დღეს ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ მოსკოვის გუნდს ხვდა. საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ღირსებას იცავდნენ ელექტრომექანიკის საკავშირო ინსტიტუტის ინჟინრები, ოსტატები ა. ბელენკოვი, ს. სელივანოვსკი, ოსტატობის კანდიდატები ბ. კოლკერი და ლ. კალამნიკოვა. მათ ამ ტურნირის შარშანდელ ლაურეატს — ჩელიაბინსკის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს და კიდევ 9 გუნდს გაუსწრეს. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს კალამნიკოვამ და სვერდლოვსკის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელმა ი. ჩერნინმა.

● ჩერნოვცი, 13 ივლისი. რსფსრ-სა და ბელორუსიის მოშაშეთა გუნდებმა I-II ადგილები გაიყვეს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. მათ არა მარტო ქულათა თანაბარი რაოდენობა (8-8 15 შესაძლებლიდან) დააგროვეს, არამედ კოეფიციენტთა ერთნაირი მაჩვენებლებიც აღმოაჩნდათ. ასეთივე მდგომარეობა შეექმნათ უკრაინისა და ლენინგრადის (III-IV ადგილები) გუნდებს — 7,5-7,5 ქულა. ათ დღეს გაგრძელდა საერთაშორისო და რუსულ შაშში ეს საინტერესო შეჯიბრება, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ყოველ გუნდში ერთი ქალი და ორი ვაჟი შედიოდა.

## ცხელი კვალით

# პეტუშკოვას სიხარული

მოსკოვი, 13 ივლისი. ცხენის გაწვრთნაში „დიდი პრიზი" ზედიზედ მეორე წელია მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა ე. პეტუშკოვამ („უროჟაი", რსფსრ). ცენტრალურ იპოდრომზე საკავშირო ჩემპიონატის დღეს გამართულ ფინალში, რომელიც სრული ოლიმპიური პროგრამით ჩატარდა, მან 1300 ქულა დააგროვა.

მომდევნო საპრიზო ადგილებზეც სახელგანთქმული მხედრები არიან: ი. კალიტა (ცსკა) — 1295 ქულა და ი. კიზიმოვი („ტრუდი", ლენინგრადი) — 1285.

ამ „შესანიშნავ სამეულში" შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით ცოტაოდენი გადაადგილება მოხდა: კიზიმოვმა ვერცხლის მედალი ბრინჯაოზე „გაცვალა".

პეტუშკოვამ ოდნავ შესამჩნევი უპირატესობის წყალობით გაიმარჯვა: უფრო ელეგანტური იყო. იგი სიხარულს არ ფარავდა და ამბობდა, რომ ასეთ ძლიერ კომპანიაში გამარჯვება ორმაგად სასიამოვნოა, მით უმეტეს, ოლიმპიური თამაშები უკვე კარზეა მომდგარი.

რა თქმა უნდა, სამივე პრიზიორი საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავს მიუნხენის სარბიელზე.

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თასი" წინაღობათა გადალახვაში ცსკა-ს კონკურისტმა ვ. მატვეევმა მოიგო. ამ 30 წლის მხედარს ორ გიტში (13 წინაღობა თითოეულში) სულ 4 საჯარიმო ქულა დაუგროვდა.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ხვდათ რსფსრ-ს „უროჟაის" წარმომადგენლებს ა. ტიმოშჩენკოს (8 საჯარიმო ქულა) და გ. სამოსელენკოვს (12).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „უროჟაის" მხედრებმა.

# გული მაინც არ დასწყვეტიათ

რიგა, 13 ივლისი. „ბალტიის თასზე" ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს ასპარეზობა მსუბუქი წონის ათლეტებმა გახსნეს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა ძალოსნობაში არ იყო სპორტსმენი, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში ღირსეულად დაიცავდა თავისი ქვეყნის ღირსებას. მაგრამ ამ ბოლო ხანს გამოჩნდნენ ნიჭიერი ძალოსნები, რომლებმაც საგრძნობლად შეავიწროვეს სახელგანთქმული პოლონელი ათლეტის ვ. ბაშანოვსკის პოზიციები. მოსკოველმა მ. კირჟინოვმა ამ შეჯიბრებაში 176,5 კგ აჰკრა, რაც კილოგრამნახევრით მეტია მეორე საბჭოთა სპორტსმენის, ლვოველი პ. კოროლის მსოფლიო რეკორდზე. კოროლმა სამჭიდში 445 კგ დააგროვა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. თავი ისახელა უკონკურსოდ მოასპარეზე კირჟინოვმაც. მან სამჭიდში 450 კგ (145+130+175) დააგროვა, რაც ბაშანოვსკის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა, ხოლო კოროლის საკავშირო რეკორდს 2,5 კილოგრამით აღემატება.

ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში ლიდერობდა მსოფლიო ჩემპიონი, ბლაგოვეშჩენსკელი ვ. კანიგინი, რომელმაც 157,5 კგ აჭიმა და 142,5 კგ აიტაცა. მას სურდა იერიში მიეტანა ვ. კურენცოვის მსოფლიო რეკორდზე სამჭიდში, მაგრამ ხელი მოეცარა: სამივე ცდა უნაყოფოდ შეალია საწყისი წონის — 175 კილოგრამის აკვრას. ამ წონაში ლუგანსკელმა ვ. მიხაილოვმა 472,5 კგ დააგროვა, ხოლო ალმაათელმა ა. კოლოდკოვმა — 460, მაგრამ ისინი უკონკურსოდ ასპარეზობდნენ და გაიმარჯვა ნორვეგიელმა ტ. ბერნსენმა — 440 კგ.

დღეს ფიცარნაგზე გამოვიდნენ საშუალო და ქვემძიმე წონების ათლეტები. ორჯერ გააუმჯობესა საშუალო წონის ძალოსანთა მსოფლიო რეკორდი ატაცში მინსკელმა ვ. შარიიმ. მან ჯერ 156,5 კგ აჩვენა, მესამე ცდაზე კი 158 კილოგრამიც დასძლია. შარიის დარჩა გამარჯვება სამჭიდშიც — 525 კგ (172,5+157,5+195).

ატაცში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ქვემძიმე წონის შახტელმა ძალოსანმა დ. რიგერტმა, რომელმაც 167,5 კგ დაძლია. ეს 1,5 კგ-ით მეტია მისსავე წინანდელ რეკორდზე. მანამდე რიგერტმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 198 კგ. ეს 2,5 კილოგრამით აღემატება შვედი ჰ. ბეტენბორგის წინანდელ რეკორდს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რიგერტი, რომელიც საოცარი შედეგიანობით უტევდა მსოფლიო რეკორდებს თავისი სპორტული კარიერის მანძილზე, არც ერთხელ არ ყოფილა მსოფლიო რეკორდსმენი აჭიმვაში. ეს „წესდი ტრადიცია" მან ახლა დაძლია.

რიგერტმა სამჭიდში 562,5 კგ (197,5+165+200) მოაგროვა, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდს 5 კილოგრამით აღემატება. ეს რიგერტს საკვებით ეყოფოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ უკონკურსოდ გამოდიოდა.

ძალოსნური სპორტის საბჭოთა მოყვარულებს გული მაინც არ დასწყვეტიათ, ვინაიდან გამარჯვება წილად ხვდა პერვოურალსკელ ვ. კოლოტოვს — 552,5 კგ. მანვე ერთი კილოგრამით დაამძიმა რიგერტის რეკორდი აკვრაში — 211 კგ დასძლია.

# კანადის ჰოკეის მთელი ნაღები

ტორონტო, 13 ივლისი. გუშინ აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კანადის ნაკრების მწვრთნელმა სინდენმა დაასახელა სსრ კავშირის ეროვნულ გუნდთან მომავალი შეხვედრებისთვის შერჩეული 35 ჰოკეისტი. სინდენმა განაცხადა, რომ მისი შედგენილი ნაკრები გამოცდილების, ოსტატობისა და აგრესიულობის შენადნობია და საუცხოოდ ფლობს თავდასხმისა და თავდაცვის ხელოვნებას.

კანადის ნაკრების შემადგენლობაში შევიდნენ: მეკარეები კ. დრაიდენი („მონრეალ კანადიენსი"), ტ. ესპოზიტო („ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი"), ჯ. ჩივერსი („ბოსტონ ბრიუინზი"); მცველები გ. და დ. ორები (ორივე — „ბოსტონ ბრიუინზი"), ბ. პარკი, რ. სილინგი (ორივე — „ნიუ-იორკ რეინჯერსი"), ჟ.-კ. ტრამბლე, ჟ. ლაპერიერი, ს. სავარი (ყველა — „მონრეალ კანადიენსი"), ბ. უაიტი, პ. სტეპლტონი (ორივე — „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი"), ჯ. გუვრემონი („ვანკუვერ კენაქსი"), გ. ბერგმანი („დეტროიტ რედ უინგზი"); მარჯვენა გარემარბები ი. კურნუაიე („მონრეალ კანადიენსი"), რ. ელისი („ტორონტო მეიპლ ლიფსი"), რ. ჟილბერი („ნიუ-იორკ რეინჯერსი"), მ. რედმონდი („დეტროიტ რედ უინგზი"), ბ. გოლდუორსი, ჟ.-პ. პარიზე (ორივე — „მინესოტა ნორტ სტარზი"); ცენტრალური თავდამსხმელები ფ. ესპოზიტო, დ. სენდერსონი (ორივე — „ბოსტონ ბრიუინზი"), ზ. რატელი („ნიუ-იორკ რეინჯერსი"), ჟ. პერო („ბუფალო სეიბრზი"), პ. მაჰოვლიჩი („მონრეალ კანადიენსი"), რ. ბერენსონი, მ. დიონი (ორივე — „დეტროიტ რედ უინგზი"), ბ. კლარკი („ფილადელფია ფლაიერზი"); მარცხენა გარემარბები ბ. ჰალი („ვინიპეგ ჯეტსი"), დ. ჰალი („ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი"), ფ. მაჰოვლიჩი („მონრეალ კანადიენსი"), ვ. ჰედფილდი („ნიუ-იორკ რეინჯერსი"), პ. ჰენდერსონი („ტორონტო მეიპლ ლიფსი"), ჯ. კემენი („ბოსტონ ბრიუინზი"), რ. მარტინი („ბუფალო სეიბრზი").

34 მოთამაშე ჰოკეის ეროვნული ლიგის (ჰელ) მოწინავე კლუბების წარმომადგენელია, 35-ე — სახელგანთქმული ბობი ჰალი კი ამას წინათ გადავიდა ახალ, ჰოკეის საერთაშორისო ასოციაციაში, რომელიც ჰელ-ის მეტოქეობას აპირებს. ჰალმა დაახლოებით 3 მილიონ დოლარზე კონტრაქტს მოაწერა ხელი.

როგორც სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ, „ნეკერჩხლის ფოთლის" ნაკრებში კანადის პროფესიული ჰოკეის მთელი ნაღებია შეყვანილი.

## საბჭოთა არმიის თასზე

სოფია, 13 ივლისი. ბულგარეთში ყველაზე მასობრივ საფეხბურთო ტურნირში — საბჭოთა არმიის თასის გათამაშებაში აღგილობრივმა ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ" გაიმარჯვა. ფინალურ მატჩში მან სოფიის „სლავია" დაამარცხა — 3:0.

უნდა აღინიშნოს, რომ არმიელმა ფეხბურთელებმა მერვედ დაისაკუთრეს ეს საპატიო პრიზი.

რიგით ამ 27-ე ტურნირში დაახლოებით 13 ათასი გუნდი მონაწილეობდა.



დიდი ხარბიელიდან წასულ ცნობილ სპორტსმენებს ჩვეულებად აქვთ: თავიანთი ყოფილი არსენალიდან რაიმეს შინ კედელზე ჩამოჰკიდებენ ხოლმე. ეს ხან მოკრივის ხელთათმანებია, ხან ციგურები, ხან ბუცები. ავტომრბოლელები, ჩვეულებრივ, ჩაფხუტს ირჩევენ... მაგრამ შვედ მრბოლელ იოახიმ ბონიერს ეს ძალიან უმნიშვნელო სუვენირად მოეჩვენა და ლურსმანზე ჩამოკიდა... ავტომანქანა.

ფოტო ჟურნალ „ლაიფიდან".

## რეკორდი

ლაიპციგი, 13 ივლისი. გდრ-ის ჩემპიონატში მოასპარეზე გუდრუნ ვეგნერმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 2,9 წამით გააუმჯობესა იტალიელი ნოველა კალიგარისის ევროპული რეკორდი. გერმანელმა სპორტსმენმა ეს მანძილი 9 წუთსა და 10,5 წამში გაცურა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02593